ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განცხადების და/ან საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. მოქმედების სფერო და მიზანი:

1.1. ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია- ,,ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის ს/ნ 404574475, (შემდგომში -,,ასოციაცია'') სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო“) მიერ განცხადების და/ან საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესი (შემდგომში - ,,ინსტრუქცია'') კანონის და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების კონტროლის მიზნით განსაზღვრავს ასოციაციის მიერ უფლებამფლობელთა უფლებების კოლექტიური მართვისას საბჭოში განცხადების ან/და საჩივრის წარმდგენ სუბიექტთა (შემდგომში ,,განმცხადებელი ან/და საჩივრის ავტორი'') წრეს, განცხადების და/ან საჩივრის წარდგენის წესსა და ფორმას, მათი განხილვის წესს, გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და იმ საკითხთა წრეს, რომელთან დაკავშირებითაც ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონის (შემდგომში - ,,კანონი'') 66[14]-ე მუხლით განსაზღვრულ სუბიექტებს შეუძლიათ განცხადებით და/ან საჩივრით მიმართონ საბჭოს.

1.2. ინსტრუქციის მიზანია, ასოციაციის მიერ უფლებამფლობელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის პროცესში, ამ ინსტრუქციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, სამართლიანი, გამჭირვალე, მიუკერძოებელი და ეფექტიანი პროცესების წარმართვა, პოზიტიური ურთიერთობების დინამიკის შენარჩუნება, კონფლიქტებისა და დავების თავიდან აცილება, არსებული სადავო და პრობლემური საკითხების აღმოფხვრა, ასოციაციის მიერ წესდებისა და კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა.

1.3. ინსტრუქციით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს საბჭო ახორციელებს კანონით და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული წესით და ფარგლებში.

2. ტერმინთა განმარტება:

2.1. წინამდებარე ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **განმცხადებელი** - კანონის 66[14]-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული პირები, ან/და მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოს მისი ჩართულობის ან/და დახმარების თხოვნით წარუდგენენ წერილობით მოთხოვნას;

2.1.2. **საჩივრის ავტორი** - კანონის 66[14]-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული პირები, ან/და მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოს დავის გადაწყვეტის მიზნით წარუდგენენ საჩივარს;

2.1.3. **საჩივარი** - საჩივრის ავტორის და/ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებითა და ინსტრუქციით განსაზღვრული წესით, საბჭოში დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების/უფლებების აღდგენის მიზნით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა;

2.1.4. **განცხადება** - განმცხადებლის და/ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებითა და ინსტრუქციით განსაზღვრული წესით საბჭოში შეტანილი წერილობითი მოთხოვნა, რომლის მიზანიც არ არის დავის გადაწყვეტა;

2.1.5. **განცხადების/საჩივრის განხილვა** - პროცესი, საბჭოში განცხადების და/ან საჩივრის წარდგენიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

2.1.6. **დაინტერესებული პირი** - განმცხადებელი და/ან საჩივრის ავტორი;

2.1.7. **გადაწყვეტილება** - განცხადების და/ან საჩივრის განხილვის შედეგად, საბჭოს მიერ მიღებული საბოლოო/შემაჯამებელი დასკვნა და/ან რეკომენდაცია;

3. საბჭოს საქმიანობის პრინციპები:

3.1. საბჭო საქმიანობისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- სამართლიანობა;
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- დამოუკიდებლობა;
- პროფესიული მაღალკვალიფიციურობა;
- კეთილსინდისიერება;
- კონფიდენციალურობა;
- პროცესების ეფექტიანი და ეკონომიური წარმართვა;
- მხარეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

4. განცხადების და/ან საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილ პირთა წრე და საკითხები, რომელთა განხილვაც განეკუთვნება საბჭოს კომპეტენციას:

4.1. ასოციაციის წევრებს, ისევე, როგორც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას, რომლის უფლებებსაც ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს ასოციაცია, უფლება აქვთ, ჩართულობის და/ან დახმარების მიზნით/თხოვნით საბჭოს მიმართონ განცხადებით, ხოლო დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართონ საჩივრით.

4.2. ინსტრუქციის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მიმართვის უფლება განმცხადებლებს და/ან საჩივრის ავტორებს გააჩნიათ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: :

- ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაცია;
- კოლექტიური უფლებების მართვის ხელშეკრულების შეწყვეტა;
- უფლებამფლობელთა მიერ ასოციაციის მმართველობიდან უფლებების გამოთხოვა;
- ასოციაციის წევრობის პირობები;
- ჰონორარების შეგროვება, განაწილება და/ან მიზნობრივი დაქვითვა.

4.3. საბჭოსთვის განცხადებით და/ან საჩივრით მიმართვის უფლება აქვთ, ასოციაციის არაწევრ პირებს, რომელთა უფლებების ან უფლებათა კატეგორიების მართვასაც კანონისა და მინიჭებული აკრედიტაციის ფარგლებში ახორციელებს ასოციაცია.

4.4. ინსტრუქციის 4.3. პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, ჩართულობის, დახმარების ან/და დავის გადაწყვეტის მიზნით განცხადებით და/ან საჩივრით შეუძლიათ, საბჭოს მიმართონ მხოლოდ ისეთი საკითხების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია: ჰონორარების შეგროვებასთან, განაწილებასთან და/ან მიზნობრივ დაქვითვასთან.

4.5. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, საბჭოს განცხადებით მიმართონ, როგორც ერთი კონკრეტული, ისე რამდენიმე მოთხოვნით ერთდროულად.

5. განცხადების/საჩივრის შინაარსი და მისი წარდგენის ფორმა

5.1. დაინტერესებულ პირთა და/ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენელთა მიერ განცხადება და/ან საჩივარი ასოციაციაში წარდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

5.2. განცხადების და/ან საჩივრის წარდგენა შესაძლებელია დაინტერესებული პირის და/ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, როგორც ასოციაციის მისამართზე ფიზიკური ვიზიტისა და დოკუმენტის/დოკუმენტაციის ჩაბარების, ისე საფოსტო გზავნილის და/ან ასოციაციის ელ. ფოსტაზე (მეილი) გაგზავნის გზით;

5.3. განცხადების ან/და საჩივრის ფიზიკურად ან საფოსტო გზავნილის სახით წარდგენის შემთხვევაში, განცხადება ან/და საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას ასოციაციის ოფისის მისამართზე, ხოლო ელ.ფოსტაზე

(მეილზე) გაგზავნის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გაგზავნა უნდა განხორციელდეს შემდეგ მეილზე: info@ipoa.ge;

5.4. დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი განცხადება ან/და საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა. ასოციაციის იმ ორგანოს დასახელება, რომელშიც შედის განცხადება ან/და საჩივარი;

ბ. დაინტერესებული პირის-განცხადების შემთხვევაში განმცხადებლის, ხოლო საჩივრის შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ან/და მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი და ელ. ფოსტა.

გ. მითითება იმ გარემოებებსა თუ დოკუმენტებზე, რომლის მოწესრიგების მიზნითაც დაინტერესებული პირი ითხოვს საბჭოს დახმარებას, ჩართულობას ან/და დავის გადაწყვეტას;

დ. მოთხოვნა;

ე. გარემოებანი, რომლებსაც ეფუძნება დაინტერესებული პირის მოთხოვნა;

ვ. მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ დაინტერესებული პირის მიერ განცხადებაში ან/და საჩივარში მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს;

ზ. თუკი განცხადება ან/და საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი/მინდობილობა კონკრეტულად ასოციაციისთვის მიმართვის თაობაზე;

თ. დაინტერესებული პირის ან/და უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა;

5.5. განცხადებაში და/ან საჩივარში ინსტრუქციის 5.4. პუნქტით გათვალისწინებული თითოეული რეკვიზიტის სისწორეზე პასუხისმგებელია განმცხადებელი და/ან საჩივრის ავტორი;

5.6. განცხადების ან/და საჩივრის წარდგენისთანავე ასოციაციის კანცელარია უზრუნველყოფს წარდგენილი დოკუმენტაციის დარეგისტრირებას და მისთვის შესაბამისი ნომრის მინიჭებას, რის შემდეგაც განცხადება ან/და საჩივარი განხილვის მიზნით, დაუყოვნებლივ ეგზავნება საბჭოს.

5.7. თუკი ასოციაციაში წარდგენილი განცხადება არ შეიცავს ინსტრუქციის 5.4. პუნქტის ,,ა''-,,ბ''- ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ რომელიმე რეკვიზიტს, გარდა ელ.ფოსტისა, ასოციაციის კანცელარია დაინტერესებულ პირს უარს ეტყვის ასეთი განცხადების ან/და საჩივრის რეგისტრაციაზე, რაც განმცხადებელს ან/და საჩივრის ავტორს არ ართმევს უფლებას, საბჭოს მიმართოს იგივე ან სხვა საკითხთან დაკავშირებით.

5.8. დაინტერესებულ პირს განცხადების და/ან საჩივრის წარდგენა შეუძლია, როგორც თავისუფალი ფორმატით, ისე ასოციაციის მიერ განსაზღვრული განცხადების ან/და საჩივრის სტანდარტული ფორმატის შევსების გზით.

6. საბჭოს მიერ განცხადების ან/და საჩივრის დასაშვებად ცნობა

6.1. რეგისტრირებული განცხადების და/ან საჩივრის მიღების შემდეგ, საბჭოს წევრი მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების და/ან საჩივრის დასაშვებობის საკითხს. იმ შემთხვევაში თუკი საბჭოს წევრი დაადგენს, რომ განცხადებაში ან საჩივარში მითითებული საკითხი განეკუთვნება არა საბჭოს, არამედ ასოციაციის სხვა ორგანოს კომპეტენციას ამის შესახებ, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დაინტერესებულ პირს ან თვითონ უზრუნველყოფს დოკუმენტაციის შესაბამისი ორგანოსათვის გადაგზავნას, რის თაობაზეც ასევე უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის ინფორმირებას;

6.2. იმ შემთხვევაში თუკი განცხადება და/ან საჩივარი მოიცავს ორ და მეტ მოთხოვნას და დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე საბჭოს წევრი დაადგენს, რომ წარდგენილი მოთხოვნებიდან, რომელიმე კონკრეტული მოთხოვნა განეკუთვნება არა საბჭოს, არამედ სხვა ორგანოს კომპეტენციას, თავმჯდომარე წარდგენილ განცხადებას და/ან საჩივარს განსახილველად მიიღებს და დასაშვებად ცნობს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც

შედის საბჭოს კომპეტენციაში, ხოლო იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც სცდება საბჭოს კომპეტენციას, წარდგენილი განცხადება და/ან საჩივარი ნაწილობრივ დაუშვებლად იქნება ცნობილი და საბჭო დაინტერესებულ პირს აცნობებს ამ ინსტრუქციის 6.2 პუნქტით განსაზღვრული წესით.

6.3. თუკი დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე საბჭოს თავმჯდომარე დაადგენს, რომ წარდგენილი განცხადება ან/და საჩივარი არ შეიცავს ინსტრუქციის 5.4. პუნქტის ,,გ''-,,დ'' და ,,ე'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ რომელიმე რეკვიზიტს, განმცხადებელს ან/და საჩივრის ავტორს დაუდგენს ხარვეზს და ხარვეზის შევსების მიზნით განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

6.4. იმ შემთხვევაში თუკი დაინტერესებული პირის მიერ საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ მოხდება ხარვეზის სრულად შევსება/აღმოფხვრა, საბჭოს თავმჯდომარე განუხილველად დატოვებს განცხადებას და/ან საჩივარს. ხარვეზის შევსების ვადის საპატიო მიზეზით გაშვების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს ან/და საჩივრის ავტორს.

6.5. განცხადების ან/და საჩივრის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, იგივე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს მიმართოს 03 (სამი) თვის შემდეგ.

6.6. თუკი არ არსებობს წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებული განცხადების და/ან საჩივრის დასაშვებად ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, საბჭოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას განცხადების და/ან საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მისი განსახილველად მიღების თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარე ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრავს საბჭოს სხდომის დროს და თარიღს, რომლის მოწვევაც ხდება ასოციაციის წესდების შესაბამისად.

6.7. თუკი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განცხადების და/ან საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, ასეთი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 05 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წარდგენილი განცხადების და/ან საჩივრის დასაშვებად ცნობისა და განსახილველად მიღების შესახებ დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს ასოციაციის საბჭოს სრულ შემადგენლობას .

6.8. დავის გადაწყვეტის პროცესში საბჭოს უფლება აქვს, გამგეობის წევრებს და ნებისმიერ თანამშრომელს მოსთხოვოს ზეპირი და/ან წერილობითი ახსნა-განმარტებები. საბჭო ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებამდე შეისწავლოს წლიური ანგარიში და საბუღალტრო დოკუმენტები.

6.9. საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში დამატებით, ზეპირი და/ან წერილობითი ახსნა განმარტების წარდგენა მოსთხოვოს განმცხადებელს ან/და საჩივრის ავტორს.

6.10. საბჭო უფლებამოსილია, განსახილველი საკითხის გადაჭრის მიზნით მოიწვიოს ექსპერტები, სპეციალისტები, მოწმეები და მოისმინოს მათი მოსაზრებები/ჩვენებები.

6.11. საბჭოს სხდომა შესაძლოა ჩატარდეს, როგორც ფიზიკური დასწრებით, ისე დისტანციურად შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, რის თაობაზეც საბჭო მიუთითებს შესაბამის ოქმში;

6.12. საბჭო უფლებამოსილია განცხადების და/ან საჩივრის განხილვის დროს განახორციელოს კანონით მინიჭებული ნებისმიერი სხვა ქმედება.

7. წარმოების შეწყვეტა

7.1. განცხადების და/ან საჩივრის საფუძველზე დაწყებული წარმოება უნდა შეწყდეს თუ:

ა) განმცხადებელმა და/ან საჩივრის ავტორმა უარი თქვა და გაიხმო თავისი განცხადება/საჩივარი;

ბ) მხარეებმა ხელი მოაწერეს მორიგების შეთანხმებას;

გ) ნებისმიერი მხარე საბჭოს გაუგზავნის შეტყობინებას ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც იგი კანონის მე-66[14] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მიიღებს საბჭოს შეტყობინებას, რომ მხარეს აღარ სურს დავის გაგრძელება;

დ) საბჭოს შეფასებით, საკითხი ვერ გადაწყდება კანონის 66[14]-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი დავის ფარგლებში, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება;

ე) ამოიწურა საქმისწარმოებისთვის დაწესებული თავდაპირველი და დამატებითი ვადები, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება;

8. განცხადების და/ან საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

8.1. საბჭო კანონის 66[14]-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე წარდგენილ განცხადებას ან/და საჩივარს განიხილავს დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე.

8.2. საბჭო ვალდებულია, კანონის 66[14] -ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დავა მხარეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვიტოს სამართლიანად და მიუკერძოებლად. ასევე დავის პროცესში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია, იმოქმედოს კეთილსინდისიერად.

8.3. საბჭო განცხადებას ან/და საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა საჭიროებისამებრ, საბჭო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენითაც. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს ეცნობებათ საქმის განხილვის დრო, თარიღი ადგილი, თუმცა მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს საქმის განხილვის გადადების საფუძველს.

8.4. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს განცხადების ან/და საჩივრის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოს განსახილველი საკითხის სპეციფიკის ან/და სირთულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მისაღებად ესაჭიროება 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა, იგი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მიღების ვადა გააგრძელოს იგივე დროით, რის თაობაზეც, წერილობით უნდა შეატყობინოს განმცხადებელს, საჩივრის ავტორს ან/და მათ უფლებამოსილ წარმომადგენელს.

8.5. წარმომადგენლისათვის ნებისმიერ სახის ინფორმაციის მიწოდება ან/და დოკუმენტაციის გაგზავნა/გადაცემა/ჩაბარება გულისხმობს, დაინტერესებული პირისათვის დოკუმენტაციის ჩაბარებას ან/და ინფორმაციის მიწოდებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განმცხადებელი და/ან საჩივრის ავტორი დოკუმენტაციის გაგზავნას/ჩაბარებას მოითხოვს პირადად მისთვის.

8.6. განცხადების ან/და საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, საბჭოს მიერ შესაძლოა მიღებულ იქნეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე;

ბ) გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;

დ) გადაწყვეტილება მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე;

8.7. საბჭოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება/პასუხი უნდა იყოს წერილობითი ფორმით მომზადებული;

8.8. საბჭოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, უნდა იყოს დასაბუთებული.

8.9. საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ ქვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელია საბჭოს სხდომის ჩატარება, საბჭოს თავმჯდომარე 5 (ხუთი) დღის ვადაში განსაზღვრავს საბჭოს სხდომის ახალ თარიღს. საბჭოს სხდომის ხელახლა მოწვევისას იგი გადაწყვეტილებაუნარიანად ითვლება, მასში მონაწილე საბჭოს წევრების რაოდენობის მიუხედავად. ინსტრუქციით გათვალისწინებული საბჭოს მოწვევის პროცედურის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმება და ხელს მოაწერს გადაწყვეტილებას.

8.10. ინსტრუქციით და კანონის 66[14] -ე მუხლით განსაზღვრულ საკითხებზე საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

8.11. საბჭოს გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს წევრთა მიერ არჩეული სხდომის თავმჯდომარე.

8.12. საბჭო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მისი მიღებიდან 07 კალენდარული დღის ვადაში უგზავნის განმცხადებელს ან/და საჩივრის ავტორს, განცხადებაში ან საჩივარში მითითებული მისამართზე ან/და ელ-ფოსტაზე ან დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ სხვა მისამართზე.

8.13. ინსტრუქციის შესაბამისად, კანონის 66[14] -ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებული დავის განხილვა, დაინტერესებულ პირს/მხარეს არ ართმევს უფლებას მიმართოს სასამართლოს.

9. ინსტრუქციის გადახედვა და კორექტირება

9.1. ასოციაცია პერიოდულად უზრუნველყოფს ინსტრუქციის გადახედვას. აღნიშნულის საფუძველზე ასოციაცია უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.